

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20/23

2017 წლის 25 აგვისტო

ქ. ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 30-ე მუხლის, საქართველოს კანონის „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის **საკრებულო ა დ გ ე ნ ს:**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №22/31 - ვებგვერდი, 04.10.2017წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო მოწმობის ფორმა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

აკაკი დარჯანია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა

მოწმობა № -----

გაცემის თარიღი: ----- 201---- წელი

გაცემულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ.

ნებართვის მოწმობა უფლებას აძლევს მის მფლობელს გადაიყვანოს მგზავრი -----

რეგულარული მარშრუტით.



ნებართვის მფლობელია გადამყვანი: -----

(სრული დასახელება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მისამართი, საიდენტიფიკაციო მონაცემები)

სანებართვო პირობები:

სანებართვო მოწმობით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებებისა და
მძღოლების მონაცემები

მარშრუტის №	მძღოლის სახელი და გვარი	ავტოსატრანსპორტო საშუალების მოდელი	სახელმწიფო №	სარეგისტრაციო მოწმობის №	მძღოლის მართვის მოწმობის №



